

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

| | |
|--|--|
| უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: | მაგისტრატურა (II საფეხური) |
| სწავლების ენა: | ქართული |
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: | აკადემიური |
| მიმართულება: | ბიზნესის ადმინისტრირება |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration |
| სწავლის ხანგრძლივობა: | 4 სემესტრი |
| სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: | 120 კრედიტი |
| პროგრამის ხელმძღვანელები: | ვახტანგ ანთია, პროფესორი პაატა კუნჭულია, ასოცირებული პროფესორი |

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო/საერთაშორისო გამოცდების, შიდა/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სდასუ-ში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხოურ ენაში (B2 დონე).

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარი, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა. შეძლებს: კომპანიათა საქმიანობის სპეციფიკისა და არსებული

გამოწვევების გათვალისწინებას, მათი კომერციული საქმიანობის კვლევას და ბიზნეს-საქმიანობის რაციონალურად წარმართვას, ბიზნეს-სტრატეგიების განსაზღვრასა და განხორციელებას, მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებასა და საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების ნორმების გათვალისწინებას, ბიზნესის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტას თანამედროვე ლოგისტიკური მეთოდების გამოყენებით; ფინანსური ანგარიშგების მიხედვით კომპანიის გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობისა და ფარული რეზერვების გამოვლენას მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. გლობალური ბიზნეს-გარემოს ანალიზისა და ბიზნეს-რისკების შეფასებას, სწორი ინოვაციური და მარკეტინგული მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებას და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე თავისი არგუმენტების და მოსაზრებების შესახებ დისკუსიას, მოწინავე გამოცდილებისა და ინოვაციების შესაბამისად მოქმედებას. ცოდნის და კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვას, წარმართვას და სწავლის გაგრძელებას დოქტორანტურაში. გარდა ამისა, ისინი შეძლებენ შემოქმედებითად მიუდგნენ მუდმივად ცვალებადი სამყაროს კარიერულ გამოწვევებს, გამოავლინონ დარგობრივი და ტრანსფერული უნარები პროფესიული მოვალეობების შესრულების, ცოდნისა და კომპეტენციების მუდმივი განახლების საკითხებში. ჩამოყალიბდეთ ეროვნული ტრადიციებისა და დემოკრატიული ღირებულებების, ასევე ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრული თავისუფლების, დამოუკიდებლობის და ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია, სოციალური და მოქალაქეობრივი პოზიცია, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს მზარდი კონკურენციის და ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის პირობებში სათანადო კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი კომპეტენციების და შესაძლებლობების სრული რეალიზაცია და კარიერული წინსვლა.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სამაგისტრო პროგრამაში დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე.

მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის შინაარსს.

| | |
|--|-------------------------|
| ”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამა | 120 კრედიტი, მათ შორის: |
| სავალდებულო კომპონენტები: | 90 კრედიტი |
| სავალდებულო სასწავლო კურსები: | 50 კრედიტი |
| პრაქტიკა: | 10 კრედიტი |
| სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა: | 30 კრედიტი |
| არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კომპონენტი: | 30 კრედიტი |

სწავლის შედეგები

სამაგისტრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების საფუძველზე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას:

| | |
|-------------------------------------|---|
| <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> | <p>მაგისტრს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინოვაციური და მარკეტინგის მენეჯმენტის სფეროში მართვის პარადიგმების, პრინციპების, ინოვაციური და მარკეტინგული სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის, თანამედროვე კვლევის მეთოდებისა და მოდელების გამოყენების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ეფექტიანი მეთოდების შემუშავების საშუალებას მარკეტინგისა და ინოვაციური მენეჯმენტის სფეროში. აცნობიერებს მარკეტინგული და ინოვაციური მენეჯმენტის სფეროს კონკრეტული პრობლემების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით გადაჭრის გზებს. • სამეწარმეო აქტივობის ეთნომეტრიული და სოციეტალური თავისებურებებით დეტერმინირებული განსხვავებების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მოქნილი მექანიზმების, გლობალურ ბაზრებზე შესვლის სტრატეგიების, გლობალური ლოგისტიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის სტრატეგიისა და კომპლექსის, გლობალური სავალუტო სისტემისა და ფულად-საკრედიტო ურთიერთობების სპეციფიკის ღრმა და სისტემური ცოდნა. აცნობიერებს ამ პროცესებისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების დაძლევაში კომპლექსური, ინერდისციპლინარული, კროსკულტურული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობას. • ბიზნესის გარემოს სამართლებრივი რეგულირების სხვადასხვა მიმართულებების – საერთაშორისო სავაჭრო, საფინანსო, საბანკო, |
|-------------------------------------|---|

| | |
|---|---|
| | <p>საინვესტიციო-სადაზღვევო, საბაჟო სისტემის მარეგულირებელი ნორმების და კონვენციების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა. რაც აუცილებელია თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირებისათვის, გლობალური ბიზნეს-გარემოს ანალიზისა და გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის.</p> <ul style="list-style-type: none"> ლოგისტიკური მენეჯმენტის მეთოდების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა, გაცნობიერებული აქვს თანამედროვე კონკურენტულ გარემოში ლოგისტიკის და მიწოდებათა ჯაჭვის ეფექტიანი მართვის საკითხები, აცნობიერებს ლოგისტიკური პრობლემების გადაჭრის გზებს თანამედროვე მიდგომების და მეთოდების გამოყენებით ნებისმიერ ბიზნეს საქმიანობაში. რისკების მართვის სისტემებისა და თანამედროვე მეთოდების ეფექტიანი გამოყენების ღრმა და სისტემური ცოდნა. აცნობიერებს სავალუტო, საკრედიტო, საინვესტიციო, საფინანსო რისკების ანალიტიკურ, მარეგულირებელ, ინოვაციურ და დაცვით ფუნქციებს, მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მაჩვენებლებს კრიტერიუმებს, საბანკო-საკრედიტო რისკების შეფასების საერთაშორისო მოთხოვნებს და წესებს. ფინანსური ანალიზის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რის საფუძველზეც აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიის, განხორციელების თანმიმდევრობისა და ეტაპების ღრმა და სისტემური ცოდნა რომელიც აძლევს კვლევის სტრატეგიის არჩევანის ანალიზის და დიზაინის დადგენის საშუალებას. აცნობიერებს კვლევის პროცესში წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრის გზებს. აქვს ფინანსების მართვის სისტემის სპეციფიკის და ფირმის (საწარმოს) კაპიტალის მართვის პრინციპების, ფირმის (საწარმოს) შიდა და გარე ფინანსური გარემოს, მისი მართვისა და დაგეგმვის სისტემის კომპლექსური საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა. აცნობიერებს ფინანსურ რისკებს და შექმნილი პრობლემების გადაჭრის გზებს. |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>მაგისტრს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მარკეტინგის ორგანიზაციის პროცესების მართვა; ინოვაციური და მარკეტინგის მენეჯმენტის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების ორიგინალური გზებით გადაჭრა, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ორგანიზაციის კონკურენტული გარემოს დამოუკიდებლად გამოკვლევა და მისი ცვლილებების პროგნოზირება; კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მიღებული არგუმენტირებული |

| | |
|------------------------------|--|
| | <p>დასკვნების საფუძველზე, ინოვაციური პროექტებისა და მარკეტინგული პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია გლობალურ, მულტილატერალურ გარემოში ბიზნესის აქტუალური პრობლემატიკის იდენტიფიცირება, გლობალური მენეჯმენტის შესაძლებლობათა პრაქტიკული გამოყენება, გლობალური ბიზნესის გარემოს, საერთაშორისო წარმოებისა და ლოგისტიკის შესაძლებლობათა კვლევა ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით. • ბიზნეს-საქმიანობის რეგულირების სამართლებრივი ნორმების შესაბამისად ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა და პოლიტიკის შემუშავება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; • შეუძლია ბიზნესის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა თანამედროვე ლოგისტიკური მეთოდების გამოყენებით. • შეუძლია ფინანსური რისკების მართვის სტრატეგიის განსაზღვრა და ფინანსური რისკების მართვის მეთოდების გამოყენება. ინვესტიციების მართვის ეფექტიანობის მაჩვენებლების განსაზღვრა რისკის გათვალისწინებით, ბანკის საკრედიტო პორტფელის რაციონირება და დივერსიფიცირება. კრედიტების სტრუქტურირება, რეზერვების შექმნა საბანკო რისკების გადაფარვის მიზნით. • შეუძლია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ფირმის გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის, რისკების ობიექტური შეფასება და ფარული რეზერვების გამოვლენა მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. • გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში კვლევის მეთოდების გამოყენება, ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებით კვლევის შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, ბიზნესისათვის განმასხვავებელი კვლევითი პარადიგმების იდენტიფიცირება, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. • მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხასიათის ფინანსური გადაწყვეტილებების მომზადების და მიღების, სადივიდენდო და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების და რეალიზაციის, საბრუნავი კაპიტალის და კრედიტის მართვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. |
| <p>დასკვნის უნარი</p> | <p>მაგისტრს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების და ცვლილებების უახლესი კვლევების შედეგებზე და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის |

| | |
|----------------------------------|--|
| | <p>კრიტიკული ანალიზი, პროგნოზების შემუშავება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;</p> <ul style="list-style-type: none"> • გლობალურ ბიზნესზე გავლენის მქონე ფაქტორების შესწავლა, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივების შესახებ არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; • გლობალურ ბიზნესში ჩართული ორგანიზაციის კომერციულ საქმიანობაზე გარე ფაქტორების გავლენის შესწავლა-ანალიზი, საქმიანობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი წარმოქმნის ობიექტური მიზეზების დადგენა და გადაჭრის მიზნით ბიზნეს-გარემოს დინამიკური ანალიზი უახლესი კვლევების, თანამედროვე გამოცდილების და მოწინავე თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენებით; • ბიზნეს-გარემოს შესწავლის და უახლესი კვლევების შედეგების საფუძველზე ორგანიზაციის საინვესტიციო გადაწყვეტილებების რისკის შეფასება და ოპტიმალური საინვესტიციო პორტფელის შესახებ არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება; • ბიზნეს-გარემოში მიმდინარე პროცესების, ბიზნესზე მოქმედი ფაქტორების და საწარმოს ბიზნეს-საქმიანობის შესახებ რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ბიზნეს-რისკების კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და საერთაშორისო ბაზრებზე ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის შესაძლებლობის, პერსპექტივების განსაზღვრა და დასაბუთება. |
| <p>კომუნიკაციის უნარი</p> | <p>მაგისტრს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების შესახებ კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; • ბიზნეს-ურთიერთობების დამყარება, ქართულ და ინგლისურ ენაზე წერითი და ვერბალური კომუნიკაცია ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე, საქმიან დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, დასაბუთება და მოსაზრებების გადმოცემა, ამავედროულად სხვისი აზრის გაზიარება; • სამუშაო ჯგუფის წევრებთან კომუნიკაცია - სამუშაოს მიზნების და ამოცანების გამოკვეთა, მოსალოდნელი შედეგების აღწერა, შესრულებული სამუშაოს შეფასება, შრომითი კონფლიქტების მართვა, კონფლიქტის მოგვარება კომუნიკაციის გზით და სათანადო ღონისძიე- |

| | |
|---------------|--|
| | <p>ბების მომზადება;</p> <ul style="list-style-type: none"> ქართულ და ინგლისურ ენებზე საქმიანი მიმოწერა, დოკუმენტაციის შედგენა და ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პრეზენტაციის დამოუკიდებლად მომზადება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გათვალისწინებით და დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა. |
| სწავლის უნარი | <p>მაგისტრს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ბიზნეს-საქმიანობასთან და ორგანიზაციის მენეჯმენტთან დაკავშირებული ინოვაციური მიდგომების და მოწინავე გამოცდილების გაზიარება, უახლესი მონაცემებისა და ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება და შესწავლა; სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა; დამოუკიდებლად ცოდნის და კომპეტენციების სრულყოფა და მუდმივი განახლება, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და შემდგომი (დოქტორანტურაში) სწავლის საჭიროებების ობიექტურად განსაზღვრა. |
| ღირებულებები | <p>მაგისტრს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ბიზნესის სფეროს თავისებურებების, ეთიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, საზოგადოებრივი და კულტურათა-შორისი ნორმების გათვალისწინების და დაცვის პასუხისმგებლობა; პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა; ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის მოტივაცია. |

მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა

მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასება სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

▪ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის.

შენიშვნა: შუალედური შეფასების ქულა შეიძლება იყოს განსხვავებული სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები, ფორმები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით მაგისტრანტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი მაგისტრანტთა/სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტანია. შეფასებას ექვემდებარება უშუალოდ პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ (მინ. 21 ქულა; მაქს. 60 ქულა) და დაცვის კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა; მაქს. 40 ქულა). პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

კვლევითი კომპონენტი-სამაგისტრო ნაშრომი: სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) მაქს. 100 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი და პირობები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულებაში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100;

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს და ჩააბარებს გამოცდას. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ.
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის FX-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო F-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

